სამართველოში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა, ნარდი საოჯახო თამაშად ითვლება, თუმცა გარდა ოჯახური და ტრადიციული მიდგომისა – ქვეყნის მასშტაბით უამრავი ტურნირი, შეჯიბრება და სხვადასხვა ფორმატის ღონისძიება ტარდება, რომლის ორგანიზატორი ხშირ შემთხვევაში საქართველოს ნარდის ასოციაციის პრეზიდენტი ბ-ნი **თემურ ქურციკიძეა,** რომელიც განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე აქტიურ ორგანიზაციულ საქმიანობას ეწევა და უამრავ ეკითხს თავის გუნდთან ერთად შესანიშნავად არომევს თავს.

საქართველოს ნარდის ასოციაციის (სნა) ორგანიზებითვე იფის-იგლისში საქართველოს პირველობა ჩაატარა ერთეულებს შორის მოკლე (ქართულ) და გრძელ ნარგში, სულ ახლახან კი, კუს ბაბაზე გრანდიოზული ტურნირი გაიმართა - საქართველოს პირველობა წყვილთა შორის კონსულტაციით, სხვათა შორის ეს საინტერესო ფორმატის ტურნირია, რომლის დროსაც ერთმანეთს წყვილი გუნდი ეთამაშება, რომელთა წევრებსაც შეუძლიათ ერთმანეთთან კონსულტაციები, ერთმანეთის დახმარება თამაშის მიმდინარეობის დროს.

კუს ბბის ტურნირის გამარჯვებული **რომან გვენცაძის** და **თენგიზ გობეჩინას** დუეტი „ივერია“ გახდა, და 2012 წლის ჩემპიონთა ტიტულთან ერთად მათ საცივალური თასი, მედლები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურეს. პრიზიორთა დაჯილდოებას პოპულარული ქართველი მომღერალი **ეთერ კაკულია** ჩვეული ორიგინალურობით უძღვებოდა

რომან გვენცაძე: - მაგლობის მეტი რა მეთქმის. ნარდი უძველესი თამაშია და მინდა ბ-ნ თემურს მადლობა გადავუხადო ასეთი ტურნირების მოწყობისთვის და ნარდის საქართველოში პოპულარიზაციისთვის. საინტერესოდ და დაძაბულად ნარიმართა წყვილთა ტურნირი, მე და ბ-ნმა თენგომ მოვიგეთ და გამარჯვებულის ტიტულივე მეეიდარეთ (ელიმება). მინდა შემთხვევით ვიხარებდეთ და თემურ ქურციკიძეს დაბადებიდან 66 წელი მივულოცო, ამ მონარდე კაცმა 2 ექვსიანი გააგორა (ელიმება) და ასი წლის სიცოცხლე მინდა ვუსურვო.

თენგო გობეჩინა: - ტურნირმა ბევრი კარგი ადამიანი გაიერთიანა, აფხაზეთიდან დევნილებსაც მოგვიყარა თავი და სტიქიური მოვკვა მეტი აზარტისთვის, მეტი მეგობრობისთვის. მე ნარდს მეგობრულ თამაშს ვუწოდებ, ასეა, ბოლოს მინდა მეგობრობამ უნდა გაიმარჯვოს.

ეთერ კაკულია: - იცით, რაშია საქმე? სიხარულის მომგანია ეს ყველაფერი და ესაა მთავარი, ადამიანები, როცა ერთმანეთის მიმართ პოზიტიურად არიან განწყობილნი, ამაზე უკეთესი რა არის? ნარდი კი ადამიანებს ეხმარება დაახლოებასა და დამეგობრებაში. იცით, მე რომ 102 წლის ვიქნები (ელიმება) მინდა, რომ ისევ რემპიონი ვიყო ქალთა შორის და მინდა, რომ თემურ ქურციკიძემ ისევ მომცეს საშუალება ტურნირებში მონაწილეობისა და გამარჯვებულთა დაჯილდოებისა (ციცინება)...- სხვათა შორის, პიმნი რომელიც ნარდს მივუძღვენით და მე ვმღერი, უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. თემოს მინდა მოვეფერო და კიდევ ერთხელ მივულოცო დაბადების დღე, მხნეობა და ენერგიულობა ვუსურვო ამ დაუღალავ კაცს.

სხვათა შორის, მართლაც დიდია ნარდის ასოციაციის წევრად სპორტის ამ ზარტული სახეობის პოპულარიზაციაში, თამაში ყველა ოჯახში უფრო და უფრო პოპულარული ხდება, ტურნირების ორგანიზატორი კი ასოციაციის პრეზიდენტი თემურ ქურციკიძეა თავის გუნდთან ერთად.

ახლა კი თვით პრეზიდენტს მოვუსმინოთ: — უპირველეს ყოვლისა მადლობა უნდა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და თბილისის მერიას, რომლებიც ყოველთვის გვერდში გვედგანან ტურნირების ჩატარებაში. ჩვენს სამომავლო გეგმებს ნარდის პოპულარიზაციაში ოქტომბრიდან გაეცნობიან ნარდის ასოციაციის საიტზე და ყოველთვიური გამოცემის მეშვეობით.

ამჟამად ასოციაციის ოფისი განთავსებულია საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების შენობაში (ვაჟა-ფშაველას 43\1. ტელ: 232 35 06), რისთვისაც, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინდა ვუთხრა ხსენებული პროფკავშირის თავმჯდომარეს, ჩვენი ასოციაციის პრეზიდიუმის წევრს ბ-ნ ირაკლი პეტრიაშვილს - გვითხრა თემურ ქურციკიძემ.

მოამზადა
ბესო ჩუბინიძემ



გუნდი „ივერია“. რომან გვენცაძე (მარცხნივ) და თენგიზ გობეჩინა

● სემო. სექტემბრის ბაბო. 9-23.09



კოკაის ბარეშე

შემოღვრემის ბაშოზე ნახვევარზე მცირე მდღე მიილია, 31 წლის ლევან ცაგურია (კოკა) ეი არ გამორჩენია ძერიოს დიეი ზიოინში. ტრავმირებულ ქართველს ს-8 ბალასი აქვს და ის აუცილებლად დაქვეითდება შესამე დივიზიონ მაკუშებაში, სადაც ჭიდაობას ის, სავარაუდოდ, არ მოისურვებს. ველით, რომ უახლოეს დღეებში „შავი ზღვა“ 11-წლიანი პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადებს.

შაბათ-კვირას ზედიზედ ორი ორთაბრძოლა მოიგო დასაღეთის კომფსუები **ტორინოშინმა (ლევან გორგაძე)** და ტატულის შენარჩუნების შანსიც გაუჩნდა. ტორინოშინმა 2-6 ბალასი აქვს, ისევე როგორც - **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელმაც უქმედებუ ორივე ორთაბრძოლა ნაავო.

სექტემბრის ბაშოს ჩრიკიშლიდერობს დაუმარცხებელთან, მათ უკვე დაიძვეს დებიციი ბალასები. ბუნებრივია, ლიდერთა შორისაა დიდი ჩემპიონი პაკუპო.

VII დღე

(მნიშვნელოვანი პრძოლები): პაკუპო-ჰიმაშო (პაკუპო,იაპონია), შარუმაფუჯი-**გაგამარუ** (ოშიდაში), კისენსაგო-აოიამა (მიტატენაგე), კაკურიუ-შიმიზანი (პაკუპო,იაპონია), მოიგირიუკისეი (ოშიდაში), გოეიდო-არანი (ორიტაკიო), **ტორინოშინი**-ტოიოშიმა (ცურიტაჩი), ამინიტაკი-მიაბიამა (ოშიდაში), ტოჩიოძინი-ტაკეკაძე (პაკუპო,იაპონია).

VIII დღე

(მნიშვნელოვანი პრძოლები): პაკუპო-ტოიოშიმა (იორიკირი), კისენსაგო-ჰიმაშო-ზანი (უეატენაგე), კაკურიუ-ამინიტაკი (ოშიდაში), შარუმაფუჯი-მიოგირიუ (კუბინაგე), გოეიდო-**გაგამარუ** (უეატენაგე), **ტორინოშინი**-არანი (იორიკირი), აოიამა-კისეი (მაკუნოუჩი), ტოჩიოძინი-ჰიმაშო (ოშიდაში), ტაკაისუ-ჩიოტაცირიუ (ცუკიდაში).

საბურთაო ჯგუფების ტურნირის მდგომარეობა

8-0: პაკუპო (იოკოზუნა), შარუმაფუჯი (ოძეკი), კისენსაგო (ოძეკი), ტაკაისუ (მეგაგამორა 9), კოკუფენკო (მ 11).

7-1: კაკურიუ (ოძეკი), ოკინოში (მ 8)... **2-6**: **ტორინოშინი** (ყომუსუბი), **გაგამარუ** (მ 2).

IX დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): პაკუპო-ამინიტაკი, კაკურიუ-მიიოგირიუ, შარუმაფუჯი-ტოიოშიმა, კისენსაგო-ჰიმაშო, გოეიდო-შიმოზანი, არანი-აოიამა, **ტორინოშინი**-კისეი, **გაგამარუ**-მასუნოსაკი, კოკუფენკო-ტოჩიოიძინი, ტაკაისუ-ოკინოში.

ნიკოლოზ ნებერიძე

● ქადრაკი

მეორე წრეც პარიტეტით დაიწყო

გულბაურულ ბურგასში გრძელდება შვიი ზღვის ქვეყნების მოჭადრაკეთა ფინალური ტურნირი ნ დიდოსტატის მონაწილეობით. გუშინ მე-2 წრის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. **ბაბდურ ჯობავა** ისევ დამარცხდა ულადიმირ მალახოვთან (რუსეთი), ალექსანდრ არეშენკოთ (უკრაინა) ლი-ვოუ-დიტერ ნისიპეანუს (რუმინეთი) ჯერობა, ივან ნეპომნიაშა (ბულგარეთი) კი სუპათ ატალეკს (თურქეთი) გაარჩევნინა საათი.

ექვსი ტურის შემდეგ: ჩეპარინოვი-4, მალახოვი, არეშენკო-4-4, ნისიპეანუ-2,5, ჯობავა-2, ატალეკი-1 ქულა. მე-7 ტურში თამაშებენ: ჩეპარინოვი-არეშენკო, ატალეკი-მალახოვი, ჯობავა-ნისიპეანუ.

ვაჟა დანელია

● რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

მესამე ძნელად, მაგრამ მაინც მოიგეს

ერეკვნული ბიბლიოთეკა

არგაზი-ყორჩები 20:16

არგაზი (15-9) სირაძე, ჯანიაშვილი (ხუციშვილი 56), მარხანელი, კაიფაჯანი, ბ. მისხორაძე, კიკნაძე, მისრიანშვილი. (1-8) ჯიბლაძე (ბუკიაშვილი 41), სოსელია, ბუკია, ქანდელაკი, ლაბორიშვილი, მინაშვილი, თიგინშვილი.

ლ: სოსელია. 5ხ: კიკნაძე.

ს/შ: მინაშვილი

ყორჩები (15-9) ჯვარაძეები, ხარაბაძე (ხუცესლაძე 54), ჯობაური (გარუჩავა 58), ქუშპანელი, აბრამალიძე, გაბუნია, ჯაფარიძე. (1-8) ცხაკია (ჯინჭარაძე 75), ცუცქირიძე, შენგელია (ქიცქილაძე 47), ტეტლანანი, ბელაშვილი, აფციაური, ცაგარეიშვილი (გუგუშვილი 59), მაღლაკელიძე.

ლ: ხარაბაძე. 3ხ,გ: გაბუნია.

მსაჯობ: ზაზა ნარიმანიძე

საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტური, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა. თითქმის ყველა შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა მატჩის ბოლო წამებამდე უცნობი იყო. საინტერესო და უმეცავეთო ბრძოლა შედგა „შეკარდენის სანაკრებო ბაზაზე“, სადაც თბილისის „არმაზმა“ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო. არმაზელებმა ამჯერად აუტსაიდერი თბილისის „ყორჩები“ დაამარცხეს 20:16.

„არმაზი“ თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ნლევანდელი სეზონის ყველაზე დიდ მოულოდნელობად, გნებავთ აღმიჩენად. ასეთი ნარმატებული სტარტი ამ გუნდს აქამდე არასდროს ჰქონია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ზედიზედ მესამე მოგება გუნდს უდიდესი ძალისხმევის ფასად დაუჯდა.

„ყორჩის“ ახალგაზრდული გუნდის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქეს საკმაოდ გამართული რაგბი შესთავაზეს, თავდაუზოგავად იბრძოლეს და 66-ე წუთამდე იგებდნენ კიდეც 16:14. „ბიჭია, რაცა გუნდს ერთბაშად 22 მოარაგბე დატოვეს, ძველებურად ისევ კარგი რაგბი თამაშობო. გუნდში საკმაოდ არიან ახალგაზრდები, რომლებსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ სასწავლი და ასათვისებელი. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში დაელაგდებიან და საკუთარ თამაშს ვიპოვიან“ - მითხრა მატჩის შემდეგ „ყორჩების“ კაპიტანმა, მესამებალელმა **ჯაბა მალალურძემ**.

თამაში „არმაზის“ აქტიურობით დაწყო და ანგარიში მე-4 წუთზე გაიხსნა. არმაზელებმა მეტოქის ნახევარზე კარში დასარტყმელი საჯარიმო მოიპოვეს, თუმცა გუნდის მოთამაშე მწვრთნელმა, მგეზაცმა და მთავარმა მეკუთვნემ **დავით კიკნაძემ** ბურთი აუტში გადაიტანა. ხუთმეტრიანი დერეფანი „არმაზმა“ სუფთად მოიგო, მოლი შეკრეს და სამიოდე მძლავრი ბიძგის შემდეგ მეტოქის ჩათვლის მოედანში შეაღწიეს. ბოლო ბურთით ხელში მერჩინების ვაჟი **გიორგი სოსელია** იყო. კიკნაძემ კიდევ ერთ ზარდახადა - 5:0.

ამის შემდეგ გუნდში რაღაც მოიშალა. ძნელი სათქმელია, არმაზელებს ადრეულმა ლელომ მატჩის იოლად მოგების ილუზია გაუჩინა თუ სხვა რამე მიზეზია, მაგრამ გუნდი თავის თავს აღარ ჰგავდა. „ყორჩი“ კი პირიქით, გამეტებულმა ლელომ უფრო გაამშაგა, გაცილებით კომბინაციურად და თამამად ირჯებოდნენ. გუნდის მორკინალებმა რამდენჯერმე მეტოქის ხაზის გაჭრაც შეძლეს და მე-16 წუთზე ანგარიშიც დანიაურდნენ.

მოედნის ცენტრში დანიშნული შერკინებიდან ბურთი ცხრა ნომერმა **ვახტანგ ჯაფარიძემ** გამოიტანა, მერე მარჯვნივ მოკლე ფრთაზე შეუტია და ბურთი ფეხით მეტოქის ხაზის ზურგსუკან გადაკიდა. მასთან ყველაზე სწრაფად გარემარში **გიორგი ხარშილაძე** გაჩნდა, რომელმაც ლელო კარის ძელთან ახლოს გაიტანა. მგეზაემა გიგი გაბუნიამ გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:5.

ეს ანგარიში 16 წუთის განმავლობაში უცვლელი იყო. არმაზელებმა რამდენჯერმე მოიპოვეს საჯარიმოს დარტყმის უფლება და ყველა ჯერზე ბურთი აუტში გადაიტანეს. ცხადია, ლელოს გაგანას ნაცადი ხერხით, მოლის მძლავრი მიწოლით ცდილობდნენ, თუმცა „ყორჩმა“ ამის საშუალება ერთხელაც არ მისცეს. 32-ე წუთზე კიკნაძემ საჯარიმოს კარში დაარტყმა გადაწყვიტა და გაიტანა ჯიდეც - 8:7.

თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა. მატჩის დასკვნით ექვს წუთში უპირატესობას „ყორჩი“ დაეუფლა და **გიგი გაბუნიამ** ზედიზედ ორი საჯარიმო გაიტანა - 13:8. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ სანყისი ათი წუთი პირველი ნახევრის მსგავსი სცენარით ნარიმართა. 50-ე წუთზე გაბუნიამ კიდევ ერთხელ დალაშქრა საჯარიმოთი მეტოქის კარიდან სხვაობა რვა ქულამდე გაზარდა - 16:8.

„არმაზი“ გარდაუვალი მარცხის საშიშროების ნინაშე დადგა. ამან გუნდში ერთგვარი შინაპანი მობილიზება გამოინვია. თამაში ნელ-ნელა დალაგდა. მგეზაემა დავით კიკნაძემ მოახერხა გუნდის შეტევების სწორად ნარმართვა და ნელ-ნელა მოედანზე მიმდინარე მოვლენები რადიკალურად შეიცვალა.

53-ე და 55-ე წუთებზე კიკნაძემ ორი საჯარიმო გაიტანა და ანგარიში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა - 14:16. ამას მატჩის 64- წუთზე „ყორჩის“ ლელოს მისადგომებთან მონყობილი შებურთი მოაჯვა. არმაზელებმა სამჯერ მოიპოვეს საჯარიმოს დარტყმის უფლება და სამივეჯერ ბურთი აუტში გადაიტანეს. მოლითა და წარმოქმნილი რაკებიდან მძლავრმა მეცხრეკუთხემ დააკელი. მერე ბურთის ხაზზე, მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაგანა სცადეს, თუმცა ამ შემთხვევაში ლელოს ეერ მოუხერხებიათ. სამბოლოდ კიდევ ერთი ჯარიმა დაინიშნა, რომელიც კიკნაძემ კარში დაარტყა და თავისიანები დაანნაურა - 17:16.

მსგავსი სცენარით ნარიმართა მატჩის ბასკეთით ათი წუთი. თუმცა „ყორჩებმა“ საკუთარი ჩათვლის მოედანი ისევ ნარმატებით დაიცვეს. „არმაზი“ იძულებული გახდა საჯარიმო ისევ კარში დაერტყა. კიკნაძე ამჯერადაც ზუსტად გაისარჯა და მატჩის საბოლოო ანგარიში დაადგინარა - 20:16.

„ყორჩებმა“ პირველი ქულა მიითვალეს, რომელიც მათ რვა ქულაზე ნაკლები სხვაობით ნაგებისთვის ერგოთ.

ბესიკ ჯანგბაჯაძე

საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება!

გუშინ სატელევიზიო ეთერით გავიდა სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბ „არმაზის“ ორმორაგბეს, ძმებ ჯიქურაიანებს. სიუჟეტში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მათ არ მიეცათ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეობის უფლება, იმ მოტივით, რომ ისინი არიან ერთ-ერთი პოლიტკუროკი ნევრები.

საქართველოს რაგბის კავშირი სწავლობს ამ ფაქტს. თუმცა კლუბ „არმაზის“ ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძმები ჯიქურაიანები რჩებიან კლუბის წევრებად და აუცილებლად გაიგრძელებენ კლუბში თამაშს.

ზოგადად კი ქართული სარაგბო თემის სახელით შეგვიძლია განვაცხადოთ შემდეგი:

კატეგორიულად დაუშვებელია სპორტმსჭვრის პოლიტიკური ნიშნით განსხვავება და ამის საფუძველზე მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლა, რადგანაც ეს საფუძველშივე ენინააღმდეგება სპორტში დამკვიდრებულ პრინციპებს და სარაგბო ფასეულობებს.

ჯიქურად მებრძოლი ბიჭების ზეობა

ილიანი ჯიქები-არა 12:6

ილიანი ჯიქები (15-9) კიკნაძე, ტარა ზაბეიდი, ბერძენელი, ჯუპრიშვილი, ნონაძე, ბ. გიორგაძე, ზაბახიდე. (1-8) ოქრიაშვილი (გაგნიძე 57), ოქრიაშვილი, ყალდანელი (სვანიძე 68), მჭედლიშვილი, გოგოლაძე, მამრიკიშვილი, ტურაშვილი.

3ხ,გ: ნ. გიორგაძე.

არა (15-9) ძნელაძე, აბრამიძე, ფრუიძე, სინაურიძე, გოშაძე (ზიზიზაძე 58), შარვაშიძე, გოგია. (1-8) არაბიძე, თბილიძე, ნაქადე, ჯიმშიტაშვილი, ხელაძე, რევიშვილი, შალამბერიძე (დეკუბაძე 77), ყუნაშვილი.

2ხ: სინაურიძე

მსაჯობ: ნოდარ რობიტაშვილი

ბურთით მეჭე ყურაშვილი

მესამე ტურში სეზსაციური ანგარიში დაფიქსირდა გათამაშების დებიუტანტ თბილისის „ილიანი ჯიქისა“ და ვიცე-ჩემპიონ ქუთაისის „აიას“ დაპირისპირებაში. „შეკარდენის სანაკრები ბაზაზე“ არმაზი-ყორჩის მატჩის დასრულებისთანავე მაყურებელმა კიდევ ერთი შესანიშნავი მატჩი იხილა.

უფრო სწორად, რაგბის ქომაგმა შესანიშნავად მოთამაშე ახალგაზრდული გუნდის „ილიანი ჯიქის“ გმირობა ნახა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოთხმოცი წუთიდან 55 წუთის განმავლობაში ბიჭებისთვის გუნდი დიდ სითამამეს უპირატესობას ფლობდა და დამსახურებულად გაიმარჯვა კიდეც - 12:6.

„აიას“ შემადგენლობაში არ იყო მოთამაშე მწვრთნელი **ბესიკ ხამაშვილის**, რომლის არყოფნაც გუნდს საგრძნობლად დაეტყო. თავად განსაჯეთ, პირველ ოც წუთში „ჯიქებმა“ საჯარიმო ხუთჯერ დაარტყეს „აიას“ კარში და აქედან მგეზაემა **ნუგზარ გაორგაძემ** მხოლოდ ერთი გაიტანა. ქუთაითურები კი მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მეტოქის 22-მეტრიან ზონაში არ შესულან და შესაბამისად საჯარიმოს დარტყმის უფლებაც ვერ მოიპოვეს.

მატჩის პირველი ტაიმი „ჯიქებმა“ მშრალი ანგარიშით 6:0 მოიგო. მეორე საჯარიმო გიორგაძემ 36-ე წუთზე გაიტანა. მასთან ერთად აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ ცხრა ნომრის **ალეკო ზაბახიძის**, მეორეხაზელების **გიორგი მჭედლიშვილის, ვლადიმერ გოგოლაძის,** შესამეხაზელების **ბექა მამრიკიშვილისა** და **ჯაბა კიკვიძის** კარგი თამაში. თუმცა თავს „ჯიქების“ არც სხვა მოთამაშეები ზოგავდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ გამარჯვების მისაღწევად. რასაც ვერაფრით ვიტყვით „აიაზე“. ამ გუნდში მოედანზე ერთი კაცი, შესამეხაზელი **გელა შალამბერიძე** იბრძოდა. თბილისური გუნდი მარტო ბრძოლის ჟინით რიღი გამოირჩეოდა. **გიორგი ამირახანაშვილის** სამწყსო გამართული რაგბის თამაშობდა და მორკინალების მიძალებას უკანახაზელების სახიფათო ჩხელეტები ცვლიდა.

შესვენების შემდეგ „აიამ“ თამაში გამოასწორა, გუნდმა თითქოს საკუთარი თამაში იპოვა, თუმცა ამან მხოლოდ 25 წუთს გასცნა. სანყის ათ წუთში ქუთაისელმა მორაგბეებმა ორჯერ ცადეს ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლით ლელოში შეღწევა, თუმცა მაქსიმუმი, რაც გამორჩნენ, შუამარბედ მოთამაშე მგეზაურს **გაგა სინაურიძის** მიერ გაგანილი საჯარიმო იყო - 3:6. ეს 48-ე წუთზე მოხდა.

„აია“ შეტევას განაგრძობდა, თუმცა „ჯიქები“ დაცვაში თავდადებით ირჯებოდნენ და მეტოქეს ჩათვლის მოედანში შეღწევის საშუალებას არ აძლევდნენ. სინაურიძემ საჯარიმოთი ანგარიშის გათანაბრება 64-ე წუთზე მაინც შეძლო. ამის გაკეთება სამი წუთით აღრეც შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა. ანგარიშის გათანაბრებიდან ორ წუთში მანეე კიდევ უფრო უკეთესი პოზიციიდან აიცილა კარს. ეს სტუმართა გუნდისთვის საბედისწერო გამოდგა.

დასკვნით 15 წუთში „ჯიქებს“ თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათ, ისევ სწრაფად და სახიფათოდ აითამაშდნენ. 75-ე წუთზე მასპინძლების იერიშისას „აიას“ მორაგბეებმა რაკში თამაშისას წესი დაარღვიეს, მატჩის არბიტრმა „ჯიქებს“ უპირატესობა ათამაშა. მგეზაემა **ნუგზარ გაორგაძემ** 38 მეტრიდან არეცხი დაჩარა და გაიტანა - 9:6. სამ წუთში თბილისელების აქტიურობას კიდევ ერთი საჯარიმო მოჰყვა, რაც გიორგაძემ ისევ გამოიცხი და თავისიანების მამახარულები გამარჯვება მოუტანა. „აიამ“ კი მიმდინარე ჩემპიონატში პირველად ნააგო.

III ბური

ხარები-აპაზიები	17:11
ლოკომოტივი-არმაზი	12:18
ლელო-გბათუში	37:10

საბურთაო ჯგუფების ტურნირის მდგომარეობა

	მ	გ	ფ	ნ	გ	ქ
1. ლელო	3	3	0	0	+77	15
2. არმაზი	3	3	0	0	+35	12
3. არგია	3	2	0	1	+21	10
4. აია	3	2	0	1	+5	9
5. ჯიქები	3	2	0	1	0	8
6. ლოკომოტივი	3	1	0	2	+7	6
7. ხარები	3	1	0	2	-14	5
8. გბათუში	3	1	0	2	-34	4
9. ფრჩხები	3	0	0	3	-45	1
10. აბაზები	3	0	0	3	-49	1

IV ბური

აკადემია-ილიანი ჯიქი, აია-ლოკომოტივი, არგია-ლელო, ბათუში-არმაზი, ფრჩხები-ხარები.

ბესიკ ჯანგბაჯაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. დევისის თასი

1/2 ფინალი

შვეიცარია–აშშ	**3:1**
1:0 დავიდ ფერერი-სემ კუერი	4:6, 6:2, 6:2, 6:4
2:0 ნიკოლას ალმაგრო-ჯონ ისნერი	6:4, 4:6, 6:4, 3:6, 7:5
2:1 მარკინელის/მ. ლოპესი-მ. ბრაიანი/ბ. ბრაიანი	3:6, 6:3, 5:7, 5:7
3:1 დავიდ ფერერი-ჯონ ისნერი	6:7(3), 6:3, 6:4, 6:2
ნიკოლას ალმაგრო-სემ კუერი	არ გაიმართა
არგენტინა–ჩეხეთი	**2:3**
1:0 ხუან მარტინ დელ პოტრო-რადეკ შტეპანეკი	6:4, 6:4, 6:2
1:1 ხუან მონაკო-ტომაშ ბერდიხი	1:6, 6:4, 6:1, 4:6, 4:6
1:2 ბერლოკი/შვანკი-ბერდიხი/შტეპანეკი	3:6, 4:6, 3:6
1:3 კარლოს ბერლოკი-ტომაშ ბერდიხი	3:6, 3:6, 4:6
2:3 ხუან მონაკო-ივო მინარი	6:3, 7:6(2)
ჰლები ოფი	
ავსტრალია–უზბეკეთი	**3:1**
0:1 ევგენი კოროლიოვი-დენის ისტომინი	3:6, 6:4, 2:6, 6:0, 3:6
1:1 მიხაილ კუკუშკინი-ზარშა დენისოვი	6:2, 6:4, 3:6, 7:6(5)
2:1 ბოლტაევი/შჩუკინი-დენისოვი/ისტომინი	7:6(3), 6:3, 6:4
3:1 მიხაილ კუკუშკინი-დენის ისტომინი	6:4, 6:2, 6:7(5), 6:2
ევგენი კოროლიოვი-ზარშა დენისოვი	არ გაიმართა
გერმანია–ავსტრალია	**3:2**
0:1 ლლეიტონ ჰიუიტი-ბენედიქტ მერქირი	6:2, 3:6, 4:6, 6:7(4)
1:1 ფლორიან მაიერი-ლეიტონ ჰიუიტი	7:5, 6:3, 6:2
1:2 ბემელმენი/ბენედიქტ მერქირი/ჰიუიტი	3:6, 2:6, 6:2, 6:7(4)
2:2 ფლორიან მაიერი-ბენედიქტ მერქირი	6:4, 6:2, 6:3
3:2 ლლეიტონ ჰიუიტი-ლეიტონ ჰიუიტი	6:4, 6:1, 6:4
იაპონია–ჩილე	**2:3**
1:0 გი სოედა-დუდუ სელა	6:2, 6:4, 3:6, 6:4
1:1 ტაცუმა იტო-ჯეი ვეინტრაუბი	3:6, 2:6, 4:6
1:2 იტოს/უეჭიტა-ელსონის/რამი	7:5, 3:6, 3:6, 1:6
2:2 კეი ნიშიკორი-დუდუ სელა	6:3, 3:6, 4:6, 6:4, 7:5
2:3 გი სოედა-ჯეი ვეინტრაუბი	3:6, 6:7(5), 6:4, 3:6
ბელგია–შვეიცარია	**5:0**
1:0 სტივ დარციზ-მიქაელ რიდერსტედტი	6:3, 7:6(3), 6:0
2:0 დავიდ გოფინ-ანდრეას ვინცისპრა	6:4, 6:3, 7:5
3:0 ბემელმანს/ო. როზუს-ბრუნსტრომი/რიდერსტედტი	6:4, 4:6, 6:3, 6:2
4:0 დავიდ გოფინ-მარკუს დანიელსონ	6:3, 6:4
5:0 სტივ დარციზ-ანდრეას ვინცისპრა	6:4, 6:2
კანადა–ა. უნგრეთი	**4:1**
1:0 მილოშ რაონიჩ-ნიკალა ზგონლიი	6:3, 6:4, 6:4
2:0 მილოშ რაონიჩ-ნიკალა ზგონლიი	7:5, 6:4, 7:5
2:1 ნესტორი/ზოსაპოვილ-კლასინი/ვან დერ მერვე	4:6, 6:7(3), 6:7(5)
3:1 მილოშ რაონიჩ-ოზან ვან დერ მერვე	6:2, 6:2, 6:4
4:1 ფრენკ დანიელოვიჩ-ნიკალა ზგონლიი	6:2, 6:2
ბრაზილია–რუსეთი	**5:0**
1:0 რომენიო ფერეირა სილვა-იგორ ანდრეევი	6:2, 6:1, უარი
2:0 ბოგდან ბელუჩიჩ-მიხეილ ბოგომოლოვი	6:3, 4:6, 6:0, 7:6(4)
3:0 ბელუსოვთან/ბოგომოლოვი/ბაბაკიშვილი	7:5, 6:2, 7:6(7)
4:0 ბოგდან ბელუჩიჩ-ალექს ბოგომოლოვი	7:6(4), 6:3
5:0 რომენიო ფერეირა სილვა-სტანისლავ ვოვკი	6:2, 6:2
იტალია–ჩილე	**4:1**
1:0 ანდრეას სეპი-გილერმო ორგასპაზილი	7:5, 6:1, 6:2
2:0 ფაბიო ფონინი-პოლ კაპდევილი	2:6, 6:2, 6:7(6), 6:1, 6:2
2:1 ბრაჩიალი/სეპი-ბალესარი/კაპდევილი	4:6, 6:4, 4:6, 2:6
3:1 ანდრეას სეპი-პოლ კაპდევილი	6:3, 6:1, 6:3
4:1 სიმონე ბოლელი-ჰორხე ჰანი	6:4, 6:3
პოლანდია–შვეიცარია	**2:3**
0:1 ჯიმენ დე ბაკერი-რუფერ ფედერერი	3:6, 4:6, 4:6
0:2 რუბენ ბაკე-სტანისლას ვავრინკა	3:6, 6:3, 3:6, 6:7(4)
1:2 რუფერი/ბაკე-ფედერერი/ვავრინკა	6:4, 6:2, 5:7, 6:3
1:3 რუბენ ბაკე-რუფერ ფედერერი	1:6, 4:6, 4:6
2:3 ჯიმენ დე ბაკერი-მარკო ჩიუნდინელი	6:2, 7:6(4)

ცურვა

რეკორდი სეზონის ბოლოს

იაპონელმა მოცურავემ **აკიპირო იამაგუჩიმ** მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. მან დისტანცია ორ წუთსა და 7,01 წამში დაფარა. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ქალაქ გიფუში, ადგილობრივი მნიშვნელობის ტურნირზე ჰქონდა ადგილი.

18 წლის იამაგუჩიმ 0,27 წამით გაიუმჯობესა წინა რეკორდი, რომელიც ლონდონის ოლიმპიადაზე უნგრელმა **დანიელ დიურტამ** დაამყარა.

იამაგუჩი ლონდონის თამაშებზე არ გამოფიტიდა, რადგან შესარჩევი ტურნირი წაგო ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **კოსუკე კიტაჯიმასთან**, რომელმაც ბრიტანეთის დედაქალაქში ინდივიდუალური მედალი ვერ მოიპოვა.

აკიპირო იამაგუჩი

ჰოკეი

ლოკაუზი გამოცხადდა

სრულფასოვანი სეზონი ალარ იძნებაჯიგლიოთეკა

NHL-ის ვარსკვლავები კი უკვე ევროპისკენ დაიძრნენ

გუშინ, თბილისის დროით დილის რვა საათზე, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ლოკაუტი გამოცხადდა. დაპირისპირებულმა მხარეებმა ვერ შეძლეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება, რაც იმას ნიშნავს, რომ 2012-13 წლების სეზონი დროულად ვერ დაინყება.

თუმცა უკვე შარასკევს ღამით ფაქტობრივად ცნობილი იყო, რომ ლიგა და მოთამაშეთა პროფკავშირები ლოკაუტს თავიდან ვერ აიცილებდნენ. ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა** კლუბების მფლობელებთან ორსაათიანი სხდომის შემდეგ, პრესკონფერენცია მოინვია.

"არანაირი სიახლის მონოდება არ შემიძლია. კლუბების მფლობელებთან შეხვედრისას უბრალოდ განვიხილეთ მიმდინარე პროცესები. გუნდების წარმომადგენლები ჩვენს პოზიციას სრულად იზიარებენ. ცხადია, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გარეშე სეზონი არ გაიხსნება.

დღეისთვის, მოთამაშეთა ხელფასებზე ლიგის შემოსავლის 57 პროცენტი მიდის. მიგვაჩნია, რომ ეს ძალიან დიდი თანხაა. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ მოკლებინანი ლოკაუტიც კი ფინანსური თვალსაზრისით მათ უფრო ძვირად დაუჯდებათ, ვიდრე ჩვენს ახალ შეთავაზებაზე დათანხმება. ჩვენ ვთავაზობთ ხელფასების კლების საშნლიან გეგმას.

მთავარი სიახლე ის არის, რომ კლუბების მფლობელებთან შეხვედრისას მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი ლოკაუტის გამოცხადებას", - განაცხადა მაშინ ბეტმენმა.

თავის მხრივ, პრესკონფერენცია მოინვია კანადური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა, "პიტსბურგის" კაპიტანმა **სიდნი კროსბიმ**. ის მოჰყვა 283 მოთამაშის შეხვედრის შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ მხარეები უახლოეს ხანში მაინც მიაღწევენ კომპრომისს.

"როგორც ჩანს, ლიგამ მზა კიცქე პოზიცია არჩია ახალი ხელშეკრულების საკითხში - განსხვავებით პროფკავშირებისგან. დღეს ისე ჩანს, რომ სრულფასოვანი ჩემპიონატი, ალბათ, არ გაიმართება, მაგრამ სიტუაცია შეიძლება სწრაფად შეიცვალოს", - განაცხადა კროსბიმ.

sportal.ge

მაგრამ სიტუაციის შეცვლა არ მოხერხდა. NHL-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ბილ დეინლის** თქმით, პროფკავშირებმა არ მიიღეს ლიგის ნინადადება შემოსავლის გაყოფაზე და ბოლო მოლაპარაკება, რომელიც შაბათს გაიმართა, უშედეგო გამოდგა. თუმცა ფუნქციონერმა დაამშვიდა გულშემატკივრები, რომ მოლაპარაკებები უახლოეს ხანში გაგრძელდება და იქნებ მოხერხდეს სეზონის გადარჩენა.

რა იქნება მომავალში? გამორიცხული არ არის, რომ განმორდეს 1994-95 წლების სეზონის სცენარი, როცა ლოკაუტი 104 დღე გაგრძელდა და რეგულარული ჩემპიონატი გაანახევრეს. შესაძლოა, გაფიცვა მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდს შეეხოს, თუმცა უკვე ელოდებიან, რომ ლიგის კომისარი გერი ბეტმენი მომავალ კვირას გამოცხადებს საგამოფენო სეზონის გაუქმებას, რომელიც საკლუბო მატჩებსაც მოიცავს.

თუ სეზონის გადარჩენა სურთ, მხარეებმა უნდა იჩქარონ. შექმნილი სიტუაცია არავის ანყობს - ფულს დაკარგავენ გუნდები, მოთამაშეები, მსაჯები და არენების მფლობელები. შეგახსენებთ, რომ ბოლოს ლოკაუტი 2004 წელს გამოცხადდა და მხარეებმა ვერ შეძლეს 2004-05 წლების სეზონის გადარჩენა. მაშინ პროფკავშირი არ თანხმდებოდა სახელფასო ბიუჯეტზე ლიმიტის დანესებას და ლიგას ხელფასების 24 პროცენტით შემცირებას სთავაზობდა. არც ერთმა მხარემ არ დათმო და 16 თებერვალს სეზონი გაუქმდა. საბოლოოდ, NHL-მ მიაღწია ხელფასის ზედა ზღვრის დანესებას, ხოლო ხელფასები ზუსტად 24 პროცენტით შემცირდა.

ამჟამად მთავარი საკამათო საკითხი გახდა ლიგის საერთო შემოსავლის განაწილება. აქამდე, მოთამაშეები 57 პროცენტს იღებდნენ და ახლა, მაქსიმუმ, სამ პროცენტს თმობენ, ლიგა კი მათთვის 49 პროცენტს იმეტებს, ოღონდ ეს რიცხი თანდათან 47 პროცენტამდე უნდა შემცირდეს.

■ ■ ■

ლოკაუტის გამოცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ გახდა ცნობილი ორი საინტერესო ტრანსფერის შესახებ. NHL-ის რუსმა ვარსკვლავებმა - ფორვარდმა **ევგენი მალკინმა** და მცველმა **სერგეი გონჩარმა** კონტრაქტები გააფორმეს ჰოკეის კონტინენტალურ ლიგაში მოთამაშე მაგნიტოგორსკის "მეტალურგთან".

ამ ჰოკეისტებს უკვე 20 სექტემბერს შეუძლიათ ყინულზე გასვლა, როცა "მეტალურგი" KHL-ის რეგულარული ჩემპიონატის მორიგ მატჩს ჩაატარებს "სალავატ იულაევის" წინააღმდეგ.

"დროებით სამსახური" იშოვა "დეტროიტის" ცენტრფორვარდმა **პაველ დაციუკმა**. ის ლოკაუტის პერიოდში "აკ ბარსში" ითამაშებს. ასევე სამშობლოში დაბრუნდებიან ჩეხი ფორვარდი - **იარომირ იაგრი** და **ტომაშ პლეკანეცი**. ისინი ინ კლუბში გადაელენ, სადაც ინყებდნენ საკუთარ კარიერას. ეს გუნდია "კლადნო". სხვათა შორის, 40 ნლის იაგრი კლუბის თანამფლობელი **გახლავთ**.

ავტოსპორტი

ისევ ავარია



კუბიცას ავტომობილი

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **რობერტ კუბიცა** დიდ სპორტში დაბრუნებას ცდილობს. როგორც იცით, ერთი კვირის წინ პოლონელმა იტალიაში რეგიონალური მნიშვნელობის რალიში - Ronde Gomitolo di Lana-ში მიიღო მონაწილეობა და პირველი ადგილი დაიკავა. ეს იყო მისთვის შარშანდელი სანინელი ავარიის შემდეგ პირველი ოფიციალური რბოლა.

შაბათს, კუბიცა ისევ ვიხილეთ რალის მანქანის საჭესთან - ის San Martino di Castrozza-ს რალის ეტაპზე გამოვიდა, მაგრამ, ამჯერად, ყველაფერი სავალალოდ დასრულდა - პოლონელი ავარიაში მოხვდა. რბოლის ორგანიზატორთა თქმით, არც პილოტი და არც მისი მქურნანი - **იაკუბ გერბერი** არ დაზარალებულან.

გასულ კვირას კუბიცამ კიდევ ერთხელ გამოაცხადა, რომ მისი მიზანი ავლაგაც ფორმულა 1-ში დაბრუნებაა.

ამბები

ქალთაგარეთი

პოვარდი ჯერ მზად არ არის

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** სანერვნილო ბანკის დასანყისს გამოტოვებს. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდები ახალი სეზონისთვის მზადებას 2 ოქტომბერს დაიწყებენ. შესაბამისად, "სუპერმენი" ვერ დაეხმარება თავის ახალ გუნდს "გოლდენ სტეიტთან" მატჩში, რომელიც 7 ოქტომბერს უნდა გაიმართოს. შეგახსენებთ, რომ ლიგის საუკეთესო ცენტრი ზურგის ტრავმის შემდეგ გადის სარეაბილიტაციო კურსს.

მაკგრეიდი: NBA თუ ჩინეთი?

ერომენული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი ვარსკვლავი **ტრეისი მაკგრეიდი** კვლავაც კლუბის ძიებაშია. მან რამდენიმე დღის წინ სამედიცინო შემოწმება გაიარა "სან ანტონიოში", დღეს კი შეეცდება თავი მთაწონოს "ნიუ იორკ ნიცსის" ხელმძღვანელობას.

NBA-ის უფასერტი **ალრან ვოინაროვსკი** წერს, რომ თუ მაკგრეიდი არ მიიღებს ლიგიდან კარგ შეთავაზებას, მან, შესაძლოა, სხვა ქვეყანაში, მაგალითად, ჩინეთში გააგრძელოს კარიერა.

გიპაგლეი

ოლიმპიური ჩემპიონი ქვეყანას იცვლის

ტურინის 2006 წლის ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ რიოში** მოლაპარაკებებს აწარმოებს სხვა ქვეყნების ნაკრებში გამოსასვლელად. 29 წლის ბიატლონისტი, რომელიც ბოლო წლებში ვეღარ ხვდება გერმანიის პირველ გუნდში, თავის გადაწყვეტილებას მხოლოდ სპორტული მიზეზებით ხსნის.

ჯორების თანახმად, რიოში შეიძლება ბელარუსის, ბელგიის ან პოლანდიის ნაკრებში აღმოჩნდეს.

გვერდი მოამზადა
გია თევზაძემ

● კრივი

არგენტინული გაკვეთილი ლეგენდის ვაჟს

სერხიო მარტინესი

არგენტინელმა **სერხიო მარტინესმა** ლას ვეგასში ქუღებით დაამარცხა მექსიკელი **ხუღიო სესარ ჩავეს-უმცროსი** და ნაარობა მას საშუალო წონაში WBC-ის ტიტული. მარტინესი მთელი ბრძოლის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას, თუმცა ბოლო რაუნდში ნოკდაუნში აღმოჩნდა.

ხუღიო სესარ ჩავეს-უმცროსი თავისი ლეგენდარული მამის - **ხუღიო სესარ ჩავესის** ღირსეულია შვილი. 26 წლის ასაკში მან უკვე 47 ბრძოლის ჩატარება მოასწრო და მხოლოდ ერთხელ დასარულა შეხვედრა ფრედ, დანარჩენი მოიგო, აქედან 31 ნოკაუტით.

მაგრამ ამჯერად, მექსიკელს კარიერაში ყველაზე სერიოზული გამოცდა ელოდა - WBC-ის ბრილიანტის ქამრის მფლობელი **სერხიო მარტინესი**. 37 წლის არგენტინელმა 49 ბრძოლა მოიგო, აქედან 28 - ნოკაუტით. კიდევ ორ შეხვედრაში ფრე დაფიქსირდა და ორჯერ დამარცხდა: კარიერის დასაწყისში **ანტონიო მარგარტოსთან** ნაადო, 2009 წელს - **ჰოლ უილიამსთან**.

ბრძოლის წინ ცნობილი იყო, რომ ჩავესი 3 მილიონ დოლარს მიიღებდა, მარტინესის ჰონორარი კი 1.4 მილიონს შეადგენდა. გარდა ამისა, ორივე მოკრივეს ტელეტრანსლაციიდან გარკვეული პროცენტი ეკუთვნოდა. მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი ნაადრევად გაიყიდა და ბრძოლას 19186 მაყურებელი დაესწრო - ეს დასწრების ახალი რეკორდია. წინა რეკორდი **ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის** ბრძოლისას დაფიქსირდა.

ბრძოლის დასაწყისში ჩავესმა ინიციატივის მოპოვება სცადა და მეორე რაუნდში მეტოქეს კორპუსში რამდენიმე დარტყმა მოიყენა, მაგრამ მარტინესმა უკეთესი ფუნქციონალური მომზადების ხარჯზე დაჯაბნა მეტოქე და სწრაფი სერიებით წარმატებით უტევდა მექსიკელს. მესამე და მეოთხე რაუნდებში ჩავესმა მეტოქეს ღირსეულად ვერ უპასუხა.

მექსიკელი ხვდებოდა, რომ ბრძოლას აგებდა, ამიტომაც მეექვსე რაუნდში ისევ სცადა გააქტიურება. ჩავესს გამოუვიდა თავისა და კორპუსში რამდენიმე კარგი დარტყმა, თუმცა მარტინესმა მალე დაასამარა მეტოქის იმედები, როცა რაუნდის ბოლოს შესანიშნავი კომბინაცია ჩაატარა, შემდეგ რაუნდები კი უკვე თავად დომინირებდა. ამ პერიოდში მექსიკელს ჯერ პირიდან ნამოუვიდა სისხლი, შემდეგ - ცხვირიდან.

მიუხედავად ამისა, ჩავესმა კარგი შეტევის მომზადება სცადა, მაგრამ არგენტინელის პასუხმა არ დაიგვიანა. მერვე რაუნდშიც ხულიოს მონდომებამ შედეგი არ მოიტანა, მეცხრე რაუნდი კი მან პირშემინდად ნაადო, თუმცა სერიოზი გახეთქილი ნარნით იბრძოდა.

მართალია, არგენტინელი რინგის ბატონ-პატრონი იყო, მაგრამ მას თანდათან ფიზიკურად უქარდა. შედეგად, ბოლოსინა რაუნდიდან მოყოლებული, მექსიკელის დარტყმები სულ უფრო ხშირად აღნევდა მიზანს, თუმცა ეს არასაკმარისი იყო - ჩავესს მხოლოდ ნოკაუტი თუ გადარჩენდა. და ბოლო რაუნდის ბოლო წუთზე მექსიკელმა კინაღამ მოიგო ბრძოლა - მან გაარღვია მარტინესის დაცვა და საკმაოდ მძიმე ნოკდაუნში გაუშვა მონინააღმდეგე. არგენტინელმა მოახერხა წამოდგომა. ჩავესმა ისევ სცადა წინ წასვლა, მაგრამ მარტინესმა საპასუხო დარტყმების შესრულება შეძლო. რა თქმა უნდა, ბოლო წარმატებული რაუნდი ჩავესს მოსაგებად არ ეყო - სამივე მსაჯმა დიდი უპირატესობით არგენტინელს მოაგებინა - 118-109, 118-109, 117-110.

■ ■ ■

ლას ვეგასში კიდევ ერთი საჩემპიონო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მექსიკელმა **საულ ალვარესმა** განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაიცვა პირველ საშუალო წონაში WBC-ის ტიტული **ხოსესიტო ლოპესთან** ბრძოლაში.

მეორე რაუნდიდან მოყოლებული, ალვარესმა მტკიცედ მოიპოვა ინიციატივა და ორჯერ გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში. ლოპესმა განსაკუთრებული მონდომების ხარჯზე სცადა ბრძოლის ბედის თავის სასარგებლოდ შემობრუნება და ერთი პირობა, ბაგირებთან მიმწყვდია მოწინააღმდეგე, მაგრამ რემპიონს ვერაფერი დააკლო.

ბრძოლა მეხუთე რაუნდში დასრულდა, როცა რეფერი **ჯო კორტესი** იძულებული გახდა შეეჩერებინა შეხვედრა - ლოპესმა რამდენიმე ძლიერი დარტყმა გაატარა და აღარ შეეძლო ნინააღმდეგობის გაწევა.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ესპანეთი

ბაკუ-თურანი 3:1
ქაფშჯი-ძაბალა 2:0
ნიფთჩი-ხაზარი 2:1
ინტერი-სუმგაიტი 1:0
რაპანი-შიფურძი 0:2
აზალ-ქარაბახი 6:2

ესპანეთი

ოლიმპიაკოსი-პირეოსი 2:0
ვიტორია-ლიგა 2:2
დევ. მაკაბი-მაქაბი 4:2
ლიგა ლეხა-ტიმ. უნივერსიტარიო 6:0
ინტერნაციონალი-ბარსელონა 1:1
ელ ნასიონალი-დევ. კუნკა 1:1

პარაგვაი

ოლიმპია-გუარანი 0:1
სერო პორტენიო-ლიგერტადი 3:3
დევ. კარაკასუა-ნასიონალი 1:3
ინტერნაციონალი-პრეზიდენტე რუგილო 2:1
ნუ-პარტივო 1:1
სოლ დე ამერიკა-ტაქუარი 3:1

პოკერი

ჯეკ

ტრაქტორი-დინამო (მ) 4:1
ლოკომოტივი-ატლანტი 1:2

აქსტრია

ინსბრუკი-ლაზარეფიორატი 2:3
ალა-ზალცბურგი 2:9
ლინცი-ვილაში 2:5

ვორვარდის გარეშე 2:4
ატლეტიკო-ბილბაო 1:5
ზაგრები-ვრა 4:1

ბეისბოლი

მილუოკი-დიუსელდორფი 2:3 (ო)
ინგოლშტადტი-ანაჰაიმი 5:0
ვოლფსბურგი-კრეფელდი 4:5
ფილადელფია-ატლანტა 1:4
ბრონქოსი-კიდნი 2:4
ნიუორკიერი-პადრესი 4:3
მანჰაიმი-პისბურგი 6:1

ნორვეგია

ლილეჰამერი-სპორტა 4:5 (ბ)
ფრისკ ასკერი-ტონსბერგი 6:5 (ო)

ჩეხეთი

სლავია-ჟლტიანი 1:3
ბრნო-კლადნო 3:1
ვიტკოვიცი-ჟლინი 3:0
ლიბერეც-სპორტა 2:4
პარლუბი ველი-ტრებონიც 2:5
ლიტვინოვი-ბუდეიოვიც 3:1

შვეიცარია

აარ-ფერიჰაიდელი 1:2 (ო)

ჩოგბურთი

WTA. გაშკაჭები

ბეგუ-ვეკიჩი 6:4, 6:4

WTA. ჯვეგები

ფლიპკენსი-ბარტელი 7:6, 7:6
მლადენოვიჩი-პრადეცკა 5:7, 6:7
ფლიპკენსი-პრადეცკა 6:1, 7:5

● TV პროგრამა

17 სექტემბერი. ორშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 პრაზოლის ჩემპიონატი. XXV ტური. ფლამენგო-გრემიო.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
14:00 პოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. ვილემ-ტვენტი-ფეინორდი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. IV ტური. მანჩესტერ იუნაიტედი.
18:00 პოლანდიის ჩემპიონატი. V ტური. მაშხოლა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. VII ტური. ველეს სარსფილდ-რივერ პლეიტი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. მაშხოლა.
22:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები - მადრიდის აბლებტური.
23:00 პროგრამა - სიტყბურთო ღამე.
00:30 ყოველკვირეული ტელეტურნირი - FOOTBALL MONDIAL.
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. IV ტური. ეფერტონ-ნიუკასლი.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგტატენჰემი.
12:00 სპორტ.NEWS.
12:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნოე ორკი-ბოსტონი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მაგრის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ინტრახტაჰამბურგი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-იტალია.
19:00 სპორტ.NEWS.
19:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. კვეტკი. კასატა.
21:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნოე ორკი-ბოსტონი.
23:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. IV ტური. ევერტონი-ნიუკასლი (LIVE).
01:00 ყოველკვირეული ტელეტურნირი - FOOTBALL MONDIAL.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. კვეტკი. კანდა.
13:30 სპორტ.NEWS.
14:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდ-ლივერპული.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. მონტეპასკი-ბარსელონა.
21:30 ჩოგბურთი. დევისი თასი. პირველი დღე.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	16	29	(მზე)
ქუთაისი	20	33	(მზე)
ბათუმი	20	29	(მზე)
ფოთი	19	29	(მზე)
ზუგდიდი	18	31	(მზე)
გორი	15	30	(მზე)
თელავი	14	28	(მზე)
სიღნაღი	13	27	(მზე)
ლოგუალეი	15	29	(მზე)
ბაკურიანი	8	23	(მზე)
ბორჯომი	8	29	(მზე)
მესტია	7	25	(მზე)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1563
1 ამერიკული დოლარი	1.6472
1 ბრიტანული ფუნტი	2.6742
100 რუსული რუბლი	5.3449

გალახული მსაჯი

სანდლერი შეხვედრა გაიმართა გერმანიის ქალაქ ბამბერგში, სადაც სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ნაკლებად ცნობილი მოკრივეები - ბრიტანელი **მაიკლ სპროტი** და გერმანელი **ედმუნდ გერმერი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. 37 წლის სპორტმა მეხვედრა ძალიან აქტიურად დაიწყო, მოედნიდან უტევდა ახალგაზრდა მეტოქეს, რომელიც მხოლოდ კორპუსში დარტყმებით პასუხობდა.

მეოთხე რაუნდში გერმანელს ცხვირიდან სისხლი ნასდა, მოუედავად ამისა, მოახერხა სპრონისთვის პირდაპირი ძლიერი დარტყმა მოეხვედრებინა. ბრიტანელი რინგზე დაეცა. მსაჯმა სპროტს ნოკდაუნი დაუთვალა და ბრძოლა შეწვიტა, არადა, მაიკლმა რეფერის ანიმნა - მზად ვარ ბრძოლის გასაგრძელებლადო. სპროტი წყობიდან გამოვიდა, მსაჯს ლანძღვა დაუწყო, შემდეგ კი ერთი დარტყმით რინგზე მიანრხა. აესტრიელი რეფერი რინგზე შევარდნილმა პოლიციელებმა გადაარჩინეს და წესრიგი აღადგინეს. საბოლოოდ, ბრიტანელმა მსაჯს ბოდიში მოუხადა.

სპროტის იერიში რეფერზე

მამა-შვილის ჟიჩური ჩხუბი

მამა-შვილი პატონები

ცნობილ ბრიტანელი მოკრივის **რიკი ჰატონის** მამა - **რეი ჰატონი** პოლიციას საკუთარ ვაჟზე თავდასხმის გამო დააკავა. 61 წლის მამაკაცი ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექს-რემპიონს მანჩესტერის ერთ-ერთ ჟიჩაზე ხმამაღალი საუბრისას დაესხა თავს. საინტერესოა, რომ ინციდენტი ხუთშაბათს მოხდა - ერთი დღით ადრე, ვიდრე 33 წლის რეი ჰატონი დიდ კრივში დაბრუნების შესახებ გამოაცხადებდა.

როგორც სააგენტო AP იუწყება, უფროსი პატონის სასჯელი მკაცრი გაფრთხილებით შემოიფარგლა, მოკრივე კი მამის შეტევისგან არ დაზარალებულა.

გვიანდელ ცნობებზე დაყრდნობით

გია თავალაბიშვილმა

● კრივი

ვლადიმერმა წასვლა დაგეგმა

სუპერმძიმე წონაში სამი ვერსიით მსოფლიოს რემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ** კარიერის დასრულება დაგეგმა - უკრაინელს დიდი სპორტიდან რიდე-ფანერიოს ოლიმპიადის შემდეგ სურს წასვლა.

ამის შესახებ ვლადიმერმა ერთ-ერთ უკრაინულ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა. უმცროსი კლიჩკოს თქმით, მას სურს ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა, რადგან ოთხი წლის შემდეგ, მოყვარულებთან ერთად პროფესიონალებიც გაელენ რინგზე.

შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ კლიჩკო თავის მომდევნო ბრძოლას 2012 წლის 10 ნოემბერს, ჰამბურგის „O2-არენაზე" ჩაატარებს. მისი მეტოქე პოლონელი **მარიუშ ვახი** იქნება.

ვლადიმერ კლიჩკო

● რაგბი. ოთხი ერი

ერთი ნაბიჯი ჭრიუმფამდე

ოთხერის გათამაშების მეოთხე ტური სენსაციის გადაუხრია. ავსტრალიის ნაკრებმა, რომელიც არგენტინის ეროვნულ გუნდთან შინ, ოჯრის სანაპირზე მაგრის მსეელობისას 13 ქულის სხვაობით აგებდა, გათამაშების ახალებედის დამთავრებება მაინც შეძლო 23:19. ამასთან ერთად დაუმარცხებლად ასპარეზობს მსოფლიოს თასის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრები, რომელმაც დანიდინში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს სძლია - 21:11.

„ვოლაბებისა" და „პუმების" დაპირისპირების ჩვიდმეტი დიდი ინტერესით ელოდნენ. არგენტინელები მაგზისთვის სერიოზულად ემზადებოდნენ და სულ ცოტა დაკლეთ ოთხ ერის გათამაშებაში პირველ გამარჯვებამდე.

როგორც სჩვეოათ, „პუმებმა" დაცვაში ზედმინევნით ყურადღებით ითამაშეს და პირველ ტაიმში მასპინძლებმა ერთი საფარიმოს ნაცლობით მხოლოდ სამი ქულა მოიპოვეს. ეს 24-ე წუთზე მოხდა, იქამდე კი არგენტინელები იგებდნენ. ანგარიში სტუმართა გუნდის მეკუხვემ ბუენ მარტინ ერნანდესმა გახსნა - 3:0.

ავსტრალიელების მსგავსად, შედეგიანობით ვერც არგენტინელები გამოირჩინენ. 28-ე წუთზე ერნანდესმა კიდევ ერთი საფარიმო გაიტანა და პირველი ნახევარი „პუმების" გამარჯვებით დასრულდა - 6:3.

შესვენების შემდეგ, ავსტრალიელმა ფულბეკმა **უეინ ბარნსმა** რეა წუთში ანგარიში გაათანაბრა - 6:6. თუმცა წუთიც არ იყო გასული, როცა შეცვლაზე შესულმა მესაშეხაზელმა **ტომას ლეონარდიმ** პირველი ლელო მოიოვალა, ამას ორ წუთში კიდევ ერთმა მესამეხაზელმა თაეისი ლელო მოემატა. ერნანდესმა ორივე გარდასახვა გააცუდა, თუმცა 56-ე წუთზე საჯარიმო გაიტანა და თავისიანები 13 ქულით დაანინაურა - 19:6.

ამის მეტი არგენტინელებმა მონაგარს ვეღარაფერი მოუმატეს. „ვოლაბებმა" იგრძნეს რა მარცხის საშიშროება, საგრძნობლად გააქტიურდნენ. მე-60 და 68-ე წუთებზე ორი გარდასახვა უწინეს მიზანს და ანგარიშში დანინაურდნენ. თავი პეტ მაკგრეთმა და დრეი იოანმა გამოიჩინეს, ორივე გარდასახვა კი ბარნსმა მოიოვალა. თამაშის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა **ქარლეი ბეილმა** ერთი საჯარიმოც გაიტანა - 23:19.

დანიდინში, სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა „ოლ ბლექსს" სათანადო წინააღმდეგობა მხოლოდ 60 წუთის განმავლობაში გაუწია. პირველი ტაიმი ამ მატჩშიც ძნრად ქულიანი გამოდგა. მასპინძლებმა ორი ტქულის სხვაობით 5:3 მოიგეს.

შესვენების შემდეგ, ხუთ წუთში „ბოკ" გარემარშ **ბრაიან ჰაბანას** ლელოთი დანინაურდა - 8:5. მასპინძლებმა ექვს წუთში გაათანაბრეს, მე-60 წუთიდან მოყოლებული კი სათამამო უპირატესობას მთლიანად დაეუფლნენ და ორი ლელოს გატანა მოახერხეს - 21:11

ახ. ზელანდია-სამხ. აფრიკა 21:11

ახალი ზელანდია (15-9) დიგი, ჯეკინი, სმიტი, ნონუ, სავეა, კრაფენი, ვიპუე (ა. სმითი 40) (1-8) ჯუდკოქი, ჰორი (მეარამუ 48), ფრენქსი (ფოანუნა 62), რომანო (რეტალიკი 50), ვაიილოქი, მესამი, მაქოა, რიდი.

2: დიგი, ა. სმიტი. 3ს.გ: კრაფენი.

სამხრეთ აფრიკა (15-9) კირხნერი, ჰაბანა, დე ფილიერსი, ფ. სტეინი, ჰუგარი, მ. სტეინი (გუსენი 59), პინარი. (1-8) მთავარი (გრილინგი 50), სტრაუსი (ლიბენბერხი 69), დუ პლესი, ფან დერ მერვე (მეკარო 40), კრუგერი, ლოუ, ალბერტსი (კუცია 61), ვერმეულენი.

ლ: ჰაბანა. 2ს: სტეინი, გუსენი.

მსპრ: ჯორჯ კლენსი (ირლანდია)

ავსტრალია-არგენტინა 23:19

ავსტრალია (15-9) ბარნსი (ე. ფაინგა'ა 70), მიპერლი, ეგლი. კუპერი, მაკკეხი, იოანი, კუპერი, ფოსტი. (1-8) რობინსონი, პოლოტა-ნაუ, ალექსანდერი, დუგლასი, მარფი, დინსი (გილი 75), ჰუპერი, სამი (მიგინიოთამი 52).

2ლ: მაკკეხი, იოანი. 3ს: ბარნსი (2), ბეილი. 2გ: ბარნსი

არგენტინა (15-9) ამოროსინო, კამაჩო (იმჰოფი 39), პოსხი, ფერნანდესი, აგულა, ერნანდესი, ლეჩადხო (ვერგალო 61). (1-8) რონსერო (კაბელო 75), გუნისაუ (კრეგი 61), ფიგალო (ორლანდი 45), კარისა, ალბასეტე, კაბელო, ლეგეზამონი (ლეონარდი 45), ფერნანდეს ლოზე.

2ლ: ლეონარდი, კაბელო. 3ს: ერნანდესი. მსპრ: უეინ ბარნსი (ინგლისი).

საბურთო ჭიდაობა

1. ახალი ზელანდია - 16 ქულა, 2. ავსტრალია - 8, 3. სამხრეთ აფრიკა - 7, 4. არგენტინა - 3.

V ბურთი

სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია, არგენტინა-ახალი ზელანდია.

ბესიკ ჯაბგაბაძე

● მოტოგრანპრი. სან მარინოს გრანპრი

ლორენსო წინ გაიჭრა

ესპანელი მოტოციკლეტისტი ლორენსო ბრაზილიის გრანპრის გამარჯვებული გახდა

გუშინ, მიზანში სან მარინოს გრანპრი გაიმართა და კიდევ უფრო გამოიკვეთა საერთო ლიდერობა. **ხორხე ლორენსოს** უპირატესობა.

ამის მიზეზი ის არის, რომ პოულის მფლობელმა **დანი პედროსამ** ვერ შეძლო გამარჯვებისთვის ბრძოლა. ტექნიკური პრობლემების გამო, ესპანელმა ბოლო ადგილიდან აიღო სტარტი, პირველივე წრეზე ავარიაში მოხვდა („მოინდომა" **ექტორ ბარბერამ**) და საერთოდ გამოეთიშა თუნდაც ქულათა ზოლში მოხვედრის პრეტენდენტობას.

ამან გზა გაუხსნა გენერალური კლასიფიკაციის ლიდერ ლორენსოს. „იამაჰას" პილოტი მთელი რბოლა ლიდერობდა და დამაგვირებლად გაიმარჯვა, მაგრამ ადგილზე კი გავიდა **ვალენტინო როსი**, რომელიც ბოლო წრის წინ ანებივრებს თავის გულშემატკივრებს (თუმცა ყველას ესმის, რომ საქმე არა მოტომარბოლში, არამედ მოტოციკლშია).

რბოლის დასაწყისში კარგად გამოიყურებოდა **შეზუან ბრადლი**, მაგრამ ის ბრძოლას ჩაშორდა და მაყურებელი **ალვარო ბაუტისტასა** და **ანდრეა დოვიციოზოს** დუელზე გადაერთო. პოდიუმისთვის ბრძოლა ბაუს გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც სამი მეათასედი (!) მოუყო იტალიელს.

ესპანელი მოტოციკლეტისტი ალვარო ბაუტისტა ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი ანდრეა დოვიციოზო ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი ხორხე ლორენსო ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი დანი პედროსა ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი შეზუან ბრადლი ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი ექტორ ბარბერა ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი ალვარო ბაუტისტა ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი ანდრეა დოვიციოზო ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი ხორხე ლორენსო ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი დანი პედროსა ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი შეზუან ბრადლი ასე ზეიმობდა გამარჯვებას

ესპანელი მოტოციკლეტისტი ექტორ ბარბერა ასე ზეიმობდა გამარჯვებას

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 27 წრე; 2. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +4,398; 3. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა") - +6,055; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა") - +6,058; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +7,543; 6. **შეზუან ბრადლი** (გერ, „ჰონდა") - +13,272...

საერთო ჩათვლა

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 270 წრე; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 232; 3. **კეისი სტონერი** (ავსტრა, „ჰონდა") - 186; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა") - 163; 5. **ეჯლ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა") - 122; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - 120...

გია თვალაბეიშვილი

● ფორმულა 1

მაკლარენი სერხიო პერესს იწვევს?

„დიდ ცირკში" გრძელდება სატრანსფერო ცეცხ-ცხელება. ევროპული პრესა ყოველდღიურად ავრცელებს სანხტერესო ჭორებს. გუშინ, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო გაზეთმა „დეილი მეილმ". აი, რას წერს ის: „მაკლარენის" ხელმძღვანელთა მოლაპარაკებები ლუის ჰემილტონთან ვრცზისულ წერტილამდე მიიყვანა და გუნდი მზად არის მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონი სერხიო პერესით შეცვალოს".

ერთი კვირის წინ, ბრიტანულ საყენიბოში აცხადებდნენ, რომ მათ „ბ" გუნდის ავტომობილის კარგების ხელმოწერა ჰემილტონის გაშეებას არ აპირებენ. მაგრამ, როგორც ჩანს, „მაკლარენში" მოიმინების კარგავენ, რადგან ლუისის მენეჯმენტს მოლაპარაკებებისას არაკონსტრუქციული პოზიცია უკავია, ხოლო პერესისთვის ასეთი სახელოვანი გუნდისგან წინადადება კარიერაში აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

„ლუისი ცეცხლთან თამაშობს, - ამბობს „დეილი მეილთან" კომენტატორი ნიკოგნიტო ნყარო. - „მაკლარენიდან" წასვლა სრული სიგიჟე იქნება. თუ მას სურს გაიგოს, რა ბედი, როცა ჰილტტა ტოპ-გუნდიდან ფეხის გამო მიდის, მაშინ Google-ში ჟამ ვიელეკის სახელი აკრიფოს".

კომპანია XIX Entertainment, რომელიც პასუხისმგებელია ჰემილტონის კარიერაზე, იტიოვს, რომ ახალი კონტრაქტის მიხედვით მის კლიენტს ჰქონდეს საკუთარი ბრენდის განვითარების უფლება, მოუხდავად იმისა, რომ ლუისს ვალდებულებაში აქვს „მაკლარენის" პასხსორებთან, რომელთა რიცხვი სამ ათეულს აღწევს.

McLaren Group-ის ხელმძღვანელ **რონ დენისისთვის** ეს მოულებელია. მისი კომპანია ყოველთვის დამოკიდებული იყო კომერციულ პარტნიორებთან ურთიერთმომგებიან ურთიერთობაზე.

გაზეთი წერს, რომ „მაკლარენ"-ს ლუისს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, რომელიც 45 მილიონ ფუნტად არის შეფასებული. ამას ემატება ხელმეცრულების ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივა. „მერსედესის" შეთავაზება უფრო მომხიბვლელია - სამ წელიწადში 60 მილიონი ფუნტი და საკუთარი ბიზნესის განვითარების უფლება.

გია თვალაბეიშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა კვირეულად, პარასკევობს

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩიჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაშიშ; ფოტო: ალექსანდრე კოტრარაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე

1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდნენ სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), გრიგოლ მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), ანრიალ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩიჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: ილიაწინის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებელად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხეა გამოყენება და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება პარაკალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა/ა GE19CR0120007000043608